07.11.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მერვე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი
- ინფორმაცია OGP-ის გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის ქვეკომიტეტში (Peer Learning and Support Subcommittee) საქართველოს მონაწილეობისა და კომიტეტის პირველი შეხვედრის შესახებ
- ინფორმაცია OGP-ის ღია მონაცემთა სამუშაო ჯგუფის ღონისძიებების შესახებ
- ვალდებულებების შესრულების პროგრესი: შსს
- ინფორმაცია IDFI-ს მიერ OGP-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში გამართული შეხვედრებისა და 2014 წელს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ

2. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი

შეხვედრის პირველ ნაწილში ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ფორუმს განსახილველად წარუდგინა **სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის** სამუშაო ვარიანტი, რომელიც მომზადდა ღია მმართველობის პარტნიორობის მიერ შემუშავებული გაიდლაინების შესაბამისად.

გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასების მექანიზმი გულისხმობს პასუხისმგებელი უწყებების მიერ გეგმის შესრულების წერილობითი ანგარიშის სამდივნოსთვის წარდგენას. სამდივნოს, როგორც ეროვნულ დონეზე მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ გეგმის შესრულების შეფასება ასევე მოიცავს 16 პასუხისმგებელ უწყებასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს. სამდივნოს მიერ მომზადებული გეგმის შესრულების შეფასების ანგარიშის პროექტი ეგზავნება ფორუმს კომენტარებისთვის, შემდგომ კი განიხილება ფორუმის სხდომაზე (მრგვალ მაგიდაზე). სამდივნო ამზადებს საბოლოო ანგარიშს და წარუდგენს ანტიკორუფციულ საბჭოსა და OGP სამდივნოს. პროგრესის მონიტორინგი კვარტალურად

ხორციელდება და გულისხმობს პასუხისმგებელი უწყებების მიერ მონიტორინგის ცხრილის შევსებას, სამოქალაქო საზოგადოების კომენტარების მიღებასა და ფორუმის სხდომებზე მოკლე ანგარიშების წარდგენას (თითოეულ სხდომაზე 16 უწყებიდან 4-ის მოსმენა). ფორუმის წევრებმა განიხილეს მონიტორინგის ცხრილი და აღნიშნულის შევსების პრინციპები.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია მონიტორინგის დროს შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული. ასევე აღინიშნა, რომ შესაძლოა საინტერესო იყოს შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრისთვის რაოდენობრივი მიდგომის გამოყენება. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: სამდივნო ფორუმის წევრებს მიაწოდებს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის შეხვედრაზე განხილულ სამუშაო ვერსიას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებისა და მონიტორინგის მოდელებთან ერთად, რათა ფორუმის წევრებმა მოამზადონ კომენტარები და შემდგომ სხდომაზე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

3. ინფორმაცია OGP-ის გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის ქვეკომიტეტში (Peer Learning and Support Subcommittee) საქართველოს მონაწილეობისა და კომიტეტის პირველი შეხვედრის შესახებ;

ინფორმაცია OGP-ის ღია მონაცემთა სამუშაო ჯგუფის ღონისძიებების შესახებ

საქართველო, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის მმართველი კომიტეტის წევრი ქვეყანა მონაწილეობს OGP-ის გამოცდილების გაზიარების და მხარდაჭერის ქვეკომიტეტში. სამდივნომ ფორუმს მიაწოდა ინფორმაცია ქვეკომიტეტის შეხვედრის შესახებ, რომელშიც საქართველო პირველად მონაწილეობდა. ამჟამად ქვეკომიტეტი მუშაობს თავისი მანდატისა და პრიორიტეტების შემუშავებაზე. ქვეკომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა OGP სამუშაო ჯგუფების მეთვალყურეობა, შესაბამისად, ამ ეტაპისთვის განხილვის საგანია თუ რა სისტემით უნდა იმუშაოს OGP ჯგუფებმა, როგორი უნდა იყოს მათი სამოქმედო გეგმა და ანგარიშგება OGP სამდივნოს წინაშე. სწორედ პრიორიტეტული მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების განსაზღვრის მიზნით 17-19 ნოემბერს, კოსტა-რიკაში, ამერიკის რეგიონული შეხვედრის ფარგლებში იმართება ღია მონაცემების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. დღეისათვის საქართველო OGP-ის სამი სამუშაო ჯგუფის წევრია, ესენია: ინფორმაციის თავისუფლების სამუშაო ჯგუფი, ღია მონაცემთა სამუშაო ჯგუფი, საპარლამენტო ღიაობის სამუშაო ჯგუფი. პარტნიორობის ფარგლებში ფუნქციონირებს ასევე საბიუჯეტო გამჭვირვალობისა და მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის სამუშაო ჯგუფები.

სამდივნომ კიდევ ერთხელ შეახსენა ფორუმს, რომ მიმდინარეობს მომდევნო წლის **ღია მმართველობის ჯილდოს** თემატიკის შერჩევა. აღნიშნულთან დაკავშირებით, OGP-ის წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობა აქვთ იდეები მიაწოდონ OGP-ის სამდივნოს; 2014 წლის ღია მმართველობის ჯილდოს თემა იყო მოქალაქეთა ჩართულობა. ღია მმართველობის ჯილდოს თემატიკაზე შემდგომი მსჯელობის მიზნით, სამდივნო ფორუმს მიაწვდის OGP-ის

ფარგლებში შემუშავებულ ღია მმართველობის სახელმძღვანელოს (Open Gov. Guide), რომელშიც ღია მმართველობის ზოგადი თემების ჩამონათვალია მოცემული და განმარტებული.

4. ვალდებულებების შესრულების პროგრესი: შსს

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ. უსაფრთხო გარემოს შექმნის გამოწვევის ფარგლებში, შსს-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა დანაშაულის სტატისტიკისა და კრიმინოგენური რუკის შექმნა. აღნიშნული გულისხმობს დანაშაულის აღრიცხვასა და რუქაზე გეოგრაფიული წერტილების მიხედვით დატანას, რაც მოქალაქეებს და ასევე სხვადასხვა უწყებებს საშუალებას მისცემს უფრო ნათლად დაინახონ დანაშაულის სტატისტიკა. აღინიშნა, რომ რუქაზე დანაშაულის ადგილის მითითება მოხდება უშუალოდ გამომძიებლის მიერ. სტატისტიკის სრულყოფის მიზნით ინფორმაცია მუდმივად განახლდება და ცდომილების შემთხვევაში შესაბამისად შეიცვლება. როგორც სამინისტროს წარმომადგენლებმა განმარტეს, პროექტი განხორციელების პროცესშია და სრულად ამოქმედებამდე ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი. ფორუმის წევრებმა დასვეს კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ეტაპზე მოხდება დანაშაულის აღრიცხვა, როგორ მოხდება კვალიფიკაციის შეცვლის ან საქმის შეწყვეტის შემთხვევაში ამის რუკაზე ასახვა და ა.შ. იუსტიციის სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია ეს საკითხი გავიდეს სისხლის სამართლის რეფორმის საბჭოს სხდომაზე; აღნიშნულს შსს-ს წარმომადგენელმაც დაუჭირა მხარი.

შსს-ს წარმომადგენლებმა ისაუბრეს ასევე სამინისტროს ვებგვერდის (www.police.ge) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კერძოდ, უსინათლოთათვის ადაპტირების ვალდებულების შესახებ. შსს-ს წარმომადგენელმა ფორუმის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარეობს ბოლო დეტალების დაზუსტება და უახლოესი მომავლისთვის დაგეგმილია ვებგვერდის პრეზენტაცია. ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა შსს-ს ვებგვერდზე განთავსდეს „ლაივ-ჩათის“ აპლიკაცია და დაიწყოს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე გამოკითხვების წარმოება. შსს-ს არქივის წარმომადგენელმა ფორუმის წევრებს განუმარტა, რომ მასალების დიდი ნაწილი უკვე გადაყვანილია ელექტრონულ ფორმატში და ახლო მომავალში აისახება არქივის ვებგვერდზე.

„ჯამპსტარტ ჯორჯიას“ წარმომადგენლის კითხვაზე, რომელიც უძრავი ქონების რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში დამატებითი დამცავი მექანიზმების ამუშავებას, მათ შორის დამცავი კოდების დანერგვას შეეხებოდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააგენტოში ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ სააგენტოს ვებგვერდიდან „რობოტი პროგრამების“ საშუალებით დიდი მოცულობის ინფორმაციის გენერირება ხდებოდა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა სააგენტოს ელექტრონული პროგრამების მუშაობას, საფრთხეს უქმნიდა მის გამართულ

ფუნქციონირებას და ხელს უშლიდა მომხმარებლის მიერ ინფორმაციის სწრაფად მოძიების პროცესს. "რობოტი პროგრამების" მიერ ინფორმაციის გენერირების შეზღუდვის მიუხედავად, სააგენტოს წარმომადგენელმა გამოთქვა მზადყოფნა, დაინტერესების შემთხვევაში თავად მიაწოდოს მოქალაქეებს საჭირო ინფორმაცია.

გარდა ამისა, „ჯამპსტარტ ჯორჯიას" წარმომადგენელმა წამოაყენა საკითხი, იმის თაობაზე, თუ რა უთიერთმიმართება არსებობს ინფორმაციის თავისუფლებასა და "სსიპ"- ების მიერ მომსახურების საფასურის მოთხოვნას შორის, რაზეც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა მიმართა თხოვნით, დაესახელებინა კონკრეტული მაგალითები სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან, რაზეც საჭიროების შემთხვევაში გაიმართებოდა დისკუსია ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადასინჯვის ჭრილში.

5. ინფორმაცია IDFI-ს მიერ OGP-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში გამართული შეხვედრებისა და 2014 წელს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ

ფორუმის თანამომხსენებელმა გიორგი კლდიაშვილმა ფორუმს წარუდგინა პრეზენტაცია პასუხისმგებელი უწყებების მიერ 2014 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ. ბ-ნ გიორგიმ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებათა შესრულების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და უმეტესად, პროგრესი სახეზეა, სასურველია უწყებების შიგნით, თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს ინფორმაცია OGP-სა და მის ფარგლებში უწყების მიერ აღებული ვალდებულების შესახებ. მაგალითის სახით, ბ-ნ კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ იუსტიციის სახლის ცხელი ხაზის ოპერატორმა მას ვერ მიაწოდა ინფორმაცია იუსტიციის სახლის მიერ OGP-ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების (დაზღვევის პოლისების გაცემა იუსტიციის სახლში) შესრულების მდგომარეობის შესახებ. იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცხელი ხაზის სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანამშრომლებს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებათ იუსტიციის სახლის სივრცეში არსებული თითოეული სერვისის შესახებ, მას შემდეგ, რაც ეს სერვისი დაინერგება იუსტიციის სახლში. შესაბამისად, ვინაიდან ამ ეტაპზე მიმდინარეობს შიდა მოსამზადებელი პროცედურები სადაზღვევო პოლისების იუსტიციის სახლის სივრცეში დანერგვასთან დაკავშირებით, ცხელი ხაზის ოპერატორებს ვერ ექნებათ აღნიშნული ინფორმაცია. ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით უნდა ჰქონდეს თუ არა ოპერატორს ინფორმაცია სამომავლოდ დასანერგი სერვისების შესახებ, ფორუმის წევრებს შორის ვერ შეთანხმდა, თუმცა სამდივნოს წარმომადგენლებმა შესთავაზეს ფორუმს, რომ ისინი იმუშავებენ საინფორმაციო საშუალებებთან, როგორიცაა „09", „08", ასევე პასუხისმგებელ უწყებებთან, რათა მოიძებნოს OGP-სთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადოდ გავრცელების გზები. გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია OGP ბანერი განთავსდეს საქართველოს უნივერსიტეტების ვებგვერდებზეც. სამდივნომ შესთავაზა ბ-ნ კლდიაშვილს ფორუმის მე-9 შეხვედრისთვის

კიდევ ერთხელ წარმოადგინოს განახლებული შეფასება 2014 წელს შესასრულებელი ვალდებულებების პროგრესის შესახებ.

ბ-ნ გიორგი კლდიაშვილმა ასევე მიმოიხილა ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიმდინარეობა და ისაუბრა იმ შეხვედრებზე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაიმართა სტუდენტებისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის. ფორუმის წევრები შეთანხმდნენ, რომ სამდივნო ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში შექმნილ ვიდეო-რგოლს მიაწოდებს პასუხისმგებელ უწყებებს შესაბამის ვებგვერდებზე განთავსების მიზნით.

6. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

- სამდივნო ფორუმის წევრებს მიაწოდებს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის სამუშაო ვერსიას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებისა და მონიტორინგის მოდელებთან ერთად შემდგომი კომენტარებისა და განხილვისათვის; სამდივნო ფორუმის წევრებს გაუზიარებს OGP-ის სამდივნოს მიერ შემუშავებულ გაიდლაინს, რომლის საფუძველზეც გაიწერა სამოქმედო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი;
- ღია მმართველობის ჯილდოს თემატიკაზე შემდგომი მსჯელობის მიზნით, სამდივნო ფორუმს მიაწვდის ღია მმართველობის გაიდლაინს (Open Gov. Guide);
- სამდივნო გაუზიარებს ფორუმის წევრებს OGP-ის სამუშაო ჯგუფების ჩამონათვალს და მათი საქმიანობის აღწერას;
- სამდივნო იმუშავებს საინფორმაციო საშუალებებთან („09“; „08“) და პასუხისმგებელ უწყებებთან OGP-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით;
- სამდივნო ფორუმს მიაწოდებს OGP საქართველოს შესახებ ვიდეო-რგოლს ვებგვერდებზე განთავსების მიზნით;
- მეცხრე შეხვედრისთვის ბ-ნ გიორგი კლდიაშვილი ფორუმს წარუდგენს განახლებულ პრეზენტაციას 2014 წელს განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ;
- ფორუმის მომდევნო შეხვედრა 2014 წლის 3 დეკემბერს გაიმართება.

7. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

იუსტიციის სამინისტრო	რუსუდან მიხელიძე, ქეთი ცანავა, დეა ცარციძე, ირმა ლოხიშვილი, თამთა დუნდუა
სსიპ იუსტიციის სახლი	ნინო მურველაშვილი
სსიპ საჯარო რეესტრი	გიორგი გურიელიძე
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო	ირინა აღაპიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პავლე ოკუჯავა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნათია გულუა
მთავრობის ადმინისტრაცია	საბა ბუაძე
შინაგან საქმეთა სამინისტრო	შალვა ხაბულიანი; ირინა ვადაჭკორია; გიორგი ყაველაშვილი; დავით ალავერდაშვილი
USAID საქართველო	ლინა პანტელეევა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სულხან სალაძე
Jumpstart Georgia	Eric Barrett; ქრისტინე ჟღენტი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი, ნატა ძველიშვილი
უზენაესი სასამართლო	თორნიკე გეწაძე; ლია მჭედლიშვილი